

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ბელოსტოკის ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ გაფორმდა 2015 წელს, ბელოსტოკის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის ვიზიტის დროს საქართველოში. ხელშეკრულება ითვალისწინებს სწავლების სამივე საფეხურის სწუდენტთა გაცვლას, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტების თანახელმძღვანელობას, ერთობრივი სამეცნიერო კვლევების ჩატარებას, პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებას.

პოლონეთის მხარის განმეორებითი ვიზიტი შედგა 2018 წლის მაისში. სტუ-ს ეწვია ბელოსტოკის ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის გარემოს ინჟინერიის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ანატოლი გურინოვიჩი. მან ჩაატარა 8 საჯარო ლექცია სტუ-ს წყალმომარაგების, წყალარინების, თბოაირმომარაგების და შენობათა საინჟინრო აღჭურვის დეპარტამენტისა და აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტთათვის. საჯარო ლექციებს ესწრებოდნენ სტუ-ს პედაგოგიური კოლექტივის, საქართველოს გაერთიანებული კომპანიისა და საპროექტო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2018 წელს სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ დავით გურგენიძის წინადადებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამ დოქტორანტს დაენიშნა ბელოსტოკის ტექნიკური უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორები თანახელმძღვანელებად, რაც საშუალებას იძლევა ბტუ-ს ლაბორატორიებში სამეცნიერო კვლევების ჩატარებისა და ჩვენი სტუდენტების ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებისა.

პირველი ღონისძიება, რომელშიც ქართულმა მხარემ მიიღო მონაწილეობა იყო კონფერენცია: "Problems of the environmental engineering in agricultural and industrial regions", რომელიც 2018 წლის 24-27 ივნისს ჩატარდა ქ. ბელოვეჟიეში. კონფერენციაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი წარადგინა სამშენებლო ფაკულტეტის წყალმომარაგების, წყალარინების, თბოაირმომარაგების და შენობათა საინჟინრო აღჭურვის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა ზურაბ გვიშიანმა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ დავით გურგენიძის დავალებით მოხდა სტუ-სა და ბტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტების სასწავლო პროგრამების შედარება, რისთვისაც ბელოსტოკის ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნა ჯგუფი პროფესორ ანატოლი გურინოვიჩის ხეკლმძღვანელობით. ექსპერტთა მუშაობის საფუძველზე მომზადდა დადებითი დასკვა პროგრამათა თავსებადობის შესახებ.

პროფესორ ზურაბ გვიშიანის ვიზიტისას, 2018 წლის ივნისში ბელოსტოკის ტექნიკურ უნივერსიტეტში მომზადდა საგრანტო განაცხადი, რომელიც დაფინანსდა პოლონეთის აკადემიური გაცვლის ეროვნული სააგენტოს (NAWA) მიერ. გრანტი ორწლიანია და ითვალისწინებს ორკვირიანი საწარმოო პრაქტიკის გასავლელად სამაგისტრო პროგრამის 10 სტუდენტისა და 3 პედაგოგის ვიზიტს ბელოსტოკის ტექნიკურ უნივერსიტეტში. საპასუხოდ, საქართველოს ესტუმრება პოლონეთის დელეგაცია 10 სტუდენტისა და 3 პედაგოგის შემადგენლობით. გრანტი აგრეთვე ითვალისწინებს სახელმძღვანელოს გამოცემას წყალმომარაგებისა და წყალარინების სპეციალობის სტუდენტთათვის. საგრანტო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს სტუ-სა და ბტუ-ს ვიცე რექტორებმა: პროფესორებმა ლევან კლიმიაშვილმა და მარტა კოშიორ-კაზბერუკმა. სტუ-ს სტუდენტები ბტუ-ში პრაქტიკას გაივლიან 2019 წლის 21 მაისიდან 4 ივნისის ჩათვლით. ვიზიტის დროს ტარდება სამეცნიერო კონფერენცია თემაზე - "გარემოს ეკოლოგია ახალგაზრდა მეცნიერთა თვალთახედვით", რომელშიც სტუ-ს სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ბელოსტოკის ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, 2019 წლის 26-29 მარტს სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის ბაზაზე ჩატარდა ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარი - "წყალმომარაგებისა და წყალარინების ევროპული ინოვაციური ტექნოლოგიები სამხრეთ კავკასიისათვის", რომელიც მიზნად ისახავს ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების საერთაშორისო არენა გახდეს.

სემინარის ძირითადი ამოცანებია:

- ევროპის, აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის სამეცნიერო და საწარმოო ურთიერთობების გაძლიერება და ახალი კავშირების ჩამოყალიბება;
- საგანმანათლებლო, სამეცნიერო, საპროექტო-სადიეო და სხვა სახის პრაქტიკული საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია;
- ტრანსსასაზღვრო წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება;
- წყლის რესურსების დაბინძურებისაგან დაცვის არსებული ღონისძიებების გაუმჯობესება და ახალი მიმართულებების განვითარება;
- ჩვენი ქვეყნების საწარმოო სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა.

სემინარში მონაწილეობა მიიღო 12 ქვეყნის წარმომადგენელმა: საქართველო, პოლონეთი, აშშ, ავსტრია, გერმანია, ბელორუსია, უკრაინა, რუსეთის ფედერაცია, სომხეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, ესპანეთი. სემინარის ფარგლებში ჩატარდა ოთხი სესია, მათ შორის ერთი გასვლითი ქ. თელავში. სემინარზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

- ინოვაციური ტექნოლოგიები წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებში: პროექტირება, მშენებლობა და ექსპლუატაცია;
- ჩამდინარე წყლების გაწმენდა და ნარჩენების უტილიზაცია;
- ციფრული ტექნოლოგიები წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებში;
- გარემო და წყლის რესურსები;
- გარემოს ეკოლოგია.

სემინარის მასალების საფუძველზე იგეგმება მონოგრაფიის "გარემოს ეკოლოგიის" I ტომის გამოცემა.

2019 წლის აპრილში ბელოსტოკის ტექნიკური უნივერსიტეტის მხრიდან მიღებულია შეთავაზება სადოქტორო პროგრამის სტუდენტების მოკლევადიან გრანტში ჩართვის შესახებ. გრანტის მოქმედების ვადაა 2019 წლის დეკემბერი 2020 წლის სექტემბერი. გათვალისწინებულია 20 დოქტორანტის მონაწილეობა შემდეგი

მიმართულებებით: მშენებლობა და გარემოს ეკოლოგია, მანქანათმშენებლობა, კომპიუტერული მეცნიერებები, სატყეო მეურნეობა, ინჟინერიის მენეჯმენტი.

2019 წელს უნივერსიტეტებს შორის ხელი მოეწერა თანამშრომლობის უვადო ხელშეკრულებას, რომელიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაციის საშუალებას იძლევა.